

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 05 03 02

ქვეპროგრამის დასახელება:

ადგილობრივ დონეზე ქალთა სოციალური-ეკონომიკური გაძლიერება/ხელშეწყობა

არის ქვეპროგრამა ახალი? კი/ არა

თუ ქვეპროგრამა ახალია, ვინ წარმოადგინა? ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური - ქალთა ოთახი

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური - ქალთა ოთახი

დაფინანსების წყარო

| დასახელება | 2022 წელი |
|------------------------|---------------|
| მუნიციპალური ბიუჯეტი | 15 000 |
| სახელმწიფო ბიუჯეტი | 0 |
| სულ ქვეპროგრამა | 15 000 |

ქვეპროგრამის მიზანი:

ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამა შემუშავებულია ქედის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის შესაბამისად;

მიუხედავდ იმისა, რომ ქვეყანამ და მათ შორის ქედის მუნიციპალიტეტმა გარკვეული პროგრესი განიცადა გენდერული თანასწორობის მიღწევის თვალსაზრისით, მაინც დღის წესრიგში რჩება გარკვეული პრობლემები როგორცაა, ქალთა და მამაკაცთა თანაბარი მონაწილეობა ოჯახის ეკონომიკურ საქმიანობებში, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა

ჩართულობა და ა.შ. მზარდი ფაქტები და მონაცემები ადასტურებენ, რომ გენდერული თანასწორობის მიღწევა ქალთა ეკონომიკური გაძლიერების/წახალისების გარეშე შეუძლებელია.

ქვეყნის განვითარების თანამედროვე ეტაპზე გენდერული საკითხები გააქტიურებულია. დემოკრატიულმა პროცესებმა ქალთა ეკონომიკური აქტიურობის საკითხი დააყენა დღის წესრიგში, უდავოა რომ გენდერული თანასწორობა დემოკრატიული პროცესებისა და ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს, ვინაიდან იგი დასაქმების, შემოსავლების ზრდისა და საყოველთაო კეთილდღეობის დამკვიდრების საფუძველია. ქვეყანაში გატარებული მნიშვნელოვანი ღონისძიებების მიუხედავად საჭიროა დამატებითი აქტივობების განხორციელება, ისეთ საკითხებზე, როგორცაა: ქალთა ჩართულობის გააქტიურება ეკონომიკურ პროცესებში ადგილობრივ დონეზე და ქალთა ეკონომიკური შესაძლებლობები/გამოწვევები.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

ადგილობრივ დონეზე ქალთა სოციალური-ეკონომიკური გაძლიერება/ხელშეწყობა - ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა, მათი საქმიანობის წახალისება, ადგილზე დასაქმების შესაძლებლობა და მეწარმე ქალების რაოდენობის გაზრდა, რაც ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებას შეუწყობს ხელს.

პროგრამის გენერალური მიზანია: მუნიციპალურ დონეზე მეტი ჩართულობისა და გააქტიურებისათვის ზრუნვა, მოსახლეობის შესაძლებლობებისა და ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, რაც შემდგომში განაპირობებს ქალთა ეკონომიკურ და სოციალურ აქტიურობას, ეს იქნება სტიმული/წახალისება/მიმზამველობა და მაგალითი სხვა ქალებისათვის, რათა უფრო გააქტიურდნენ და მიიღონ მონაწილეობა არა მარტო მუნიციპალიტეტის პროგრამებში, არამედ სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამოცხადებულ საგრანტო პროექტებში.

პროგრამა მიზნად ისახავს:

ქალთა გაძლიერებას, ძლიერი მხარეების წახალისებას, ადგილზე საკუთარი საქმის წამოწყების შესაძლებლობას, სუსტი მხარეები აღმოფხვრის ხელშეწყობას.

ხარჯთაღრიცხვა პროგრამის მიხედვით

| დასახელება | პროდუქტები | | |
|------------|------------|----------------|------------|
| | რაოდენობა | ერთ. საშ. ფასი | სულ (ლარი) |
| | | | |

| | | | | | | | | | | |
|---|--|---|---|---|---|---|---------------|---|--|-----------------|
| გამლიერებულ ლია ქალების სეგმენტი, გაზრდილია მეწარმე ქალების რაოდენობა, აქვთ ფინანსებზე წვდომა, მოპოვებული ეკონომიკურ იდეა მოუკიდე ბლობა, | გამოცხადებ ული საგრანტო კონკურსი | - | 1 | 1 | 1 | 1 | რაოდ ენობა | ქედის მუნიციპალიტ ეტის მერიის ადმინისტრაც იული სამსახური | ქედის მუნიციპალიტეტი ს მერიის ადმინისტრაციუ ლი სამსახური | მონიტორ ინგი |
| | სგარნტო კონკურსში მონაწილეთა რაოდენობა (არანაკლებ) | - | 3 | 4 | 5 | 7 | რაოდ ენობა | ქედის მუნიციპალიტ ეტის მერიის ადმინისტრაც იული სამსახური | ქედის მუნიციპალიტეტი ს მერიის ადმინისტრაციუ ლი სამსახური | მონიტორ ინგი |

დამატებითი ინფორმაცია:

ფინანსური ანგარიშსწორების განხორციელების წესი:1) პროგრამა საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო

1) შესყიდვებს არ საჭიროებს;

2) დაფინანსება განხორციელდება ქედის მუნიციპალიტეტისა და გმარჯვებულ პირ (ებ)ს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

2) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო (საანგარიშსწორებო) დოკუმენტაცია.